**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის [illegible] დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა-დას[illegible] უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, აგზალის ქუჩაზედ, ვერანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 8 აგვისტოს**

## რედაქციისაგან

გაზეთი „ივერია" 1-ლ აგვისტოდგან წლის დამლევამდე ღირს 5 მან. 50 კაპ. მსურველს შეუძლიან ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს. (10—9)

## რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა.

კანტორა უმთავრესის სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვების სახლში.

ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ო. ტარანოვი.

(10—1)

## სასწავლებელი და პანსიონი

## ჟორჟიკიასი

(ქუთაისში)

გიმნაზიის, პროგიმნაზიის, რეალურ და სხვა სასწავლებლების პირველ და მოსამზადებელ კლასში მომზადებისათვის აიღებს სამ-სამს მანეთს თვიურად. პანსიონერებს შენახვისა და სწავლისათვის გადაახდევინებს წლიურად 180 მან. სასწავლებლის პანსიონში შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება გიმნაზიის და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. მეორე, მესამე და სხვა კლასებში მომზადებისათვის მეტსაც აიღებს. ვისაც პანსიონში შვილის მიბარება ან დატოვება უნდა, საჭიროა ოც აგვისტოდგან პირველ სექტემბრამდე შეგვატყობინოს (ტფილისის ქუჩა, საკუთარ სახლში).

(20—103—5)

ყოველ დღე მიიღება „ივერიის" რედაქციაში შემოწირულებანი სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

**ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.**

ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში 4 აგვისტოს იყო 9 კაცი და 3 დედაკაცი; ამ დღეს მიიყვანეს 3 კაცი: დავით ნადიროვი (5 ნაწ., სიონის ქუჩა, № 25), ოსიპ ვოლგოსი (3 ნაწ.) და წყალობ ოჰანეზოვი (10 ნაწ., დიდუბე, სახ. ხავრუშევისა) და ერთი დედაკაცი—ევგენია კალატოზოვისა (1 ნაწ., ახალი ქუჩა, მილოხოვის სახლი); მორჩა 1 დედაკაცი—ვორონინისა. 5 აგვისტოს დილით იყო 12 კაცი და 3 დედაკაცი.

მეტეხის საპატიმროს სამკურნალოში 3 აგვისტოს მიიყვანეს საგუბერნიო საპატიმროდგან ტუსაღი ხამირ-ზაგრამ-ოღლი; მორჩა ტუსაღი მაჰმედ-ალა-სალი-ოღლი.

სახლში ავად დარჩნენ და სწამლობენ: 3 აგვისტოს—ეკატერინე შაჰნაზაროვისა (6 ნაწ., ბერძნების ეკკლესიის ახლოს, სახლ. № 99); 4 აგვისტოს—ავად გახდა და გარდაიცვალა მარტიროზ მუკასლოვი (4 ნაწ., სახ. № 12) და ოჰანეზ მელიქოვი (5 ნაწ., ფეთხაინის ქუჩა სახ. № 13).

მორჩნენ: რკინის გზის სამკურნალოში ელენე განსევსკაია და ანნა კობიაშვილისა; ხოლერიანად არ იქმნა ჩათვლილი მიხეილის საავადმყოფოში არუთინ მირზოევი.

გარდაიცვალნენ: 3 აგვისტოს იოსებ გულიშვილი, რომელსაც სახლში სწამლობდნენ, შაინა ვაჰანიანცი და ავგუსტა ათაბეგოვისა.

ტფილისის მაზრის ექიმის მოხსენებით, სოფ. ხაჩინდამეთში სულ ავად გამხდარა 3 აგვისტომდე 10 და ამათში 8 გარდაცვლილა.

გორის მაზრის უფროსი იუწყება: 3 აგვისტოდგან კვლავ ავად გახდნენ ქ. გორში 9, გარდ. 6; სოფ. ცაგერში ავად გახდა 8, გარდ. 1; სოფ. ლამისყანაში ავად გახდა 1, გარდ. 1; ქვემო-გომში ავად გახდა 2, უკუღმასოფელში 1; ზერტში ავად გახდა 4, გარდ. 3; კარალეთში ავად გახდა 1, გარდ. 1; კასპში ავად გახდა 1, გარდ. 1; რუისში ავად გახდა 8, გარდ. 4; სასირეთში ავად გახდა 3, გარდ. 1; აზარმაში ავად გახდა 1, გარდ. 1; ტეზერში ავად გახდა 5, გარდ. 1; ზემო-ჭალაში ავად გახდა 7, გარდ. 1; ხაშურში ავად გახდა 1, გარდ. 1; სურამში ავად გახდა 1.

## ახალი ამბავი

*** სოფლად ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და მასთან საბრძოლველად კიდევ მივიღეთ: ახალქალაქიდგან გამოგზავნილი, პარმენ ჯავროვის მიერ შეკრებილი,—13 მან., ბ-ნ ექ. ხელაძისაგან მივიღეთ 12 მან., და ბ-ნ ალ. ბერელაშვილის მიერ შეკრებილი—14 მან., სულ 29 მან. აქავე ვბეჭდავთ შემომწირველთა სიასაც:

მამა ა. თოთიბაძე—1 მან., ერ. ბაქრაძე—1 მან., ნ. ბაქრაძე—1 მან., ვ. ბერელაშვილი—3 მან., დ. ბოძიაშვილი—1 მან., ს. გედევანიშვილი—1 მან., ზ. ჩიქოვანი—1. ა. ტუშურიანცი—1 მან., ალ. ბერელაშვილი—1 მან., ად. ბერელაშვილი—3 მან., სულ 14 მან. ამ ფულისა გვქონდა 453 მან. 85 კაპ. ამ 29 მანეთიანად შესდგა 482 მან. 85 კაპ. ამას გარდა, ბ-ნი ი. ზედგინიძე სექტემბრის თთვიდგან წლის დამლევამდე კისრულობს ყოველ თთვე სამ-სამის მანეთის შემოწირვას იმავე საქმისათვის.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 2 აგვისტოს ბაქოში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 4, ავად არის 15; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 96, გარდაიცვალა 50, მორჩა 7, ავად არის 159.

დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 2 აგვისტოს შურაში ავად გახდა 1, მორჩა 1, ავად არის 1, მთელს ოლქში ავად გახდა 887, გარდაიცვალა 376, მორჩა 413, ავად არის 1814.

განჯის გუბერნატორი იუწყება: 2 აგვისტოს განჯაში გარდაიცვალა 1, მთელს გუბერნიაში ავად გახდა 203, მორჩა 110, გარდაიცვალა 113, ავად არის 198.

ქუთაისის გუბერნატორი იუწყება: 2 აგვისტოს ქუთაისში ავად გახდა 3, მორჩა 2, ავად არის 9; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 3, ავად არის 26.

ერევნის გუბერნატორი იუწყება: ერევანში ავად გახდა 86, გარდაიცვალა 36. ავად არის 120; მთელს გუბერნიაში 73, მორჩა 9, გარდაიცვალა 102, ავად არის 479.

სტავროპოლის გუბერნატორი იუწყება: სტავროპოლში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 826, გარდაიცვალა 439, მორჩა 292.

ზაქათალის ოლქის უფროსი იუწყება; ზაქათალაში გარდაიცვალა 1, მორჩა 2; მთელს ოლქში ავად გახდა 40, მორჩა 10, გარდაიცვალა 13, ავად არის 64.

*** მირზოევის აბანოს იჯარადარმა ბ-ნმა სუქიასოვმა გუშინ ქალაქის მოურავს გამოუგზავნა 1250 უფასო ბილეთი თავის აბანოსი ღარიბთა დასარიგებლად. ამ 1250-ში 500 ბილეთი ქალებისათვის და 750 კაცებისათვის. ბ-ნმა ქალაქის მოურავმა ეს 1250 ბილეთი აბანოსი სასანიტარო დასების თავმჯდომარეებს დაურიგა; თითოს 125 ღარიბთა დასარიგებლად, რადგან მათ უფრო კარგად იციან, გაჭირვებულნი და ხელ-მოკლენი ვინც არიან. ამ ბილეთებით სარგებლობა მხოლოდ 15 სექტემბრამდე შეიძლება.

*** პარასკევს, 7 აგვისტოს, საღამოზედ, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია სხდომა ექიმთა კომისიისა. ამ კომისიაში მონაწილეობას იღებს 18 ქალაქის ექიმი და 15-ც ტფილისის სხვა ცნობილი ექიმია მიწვეული. კომისიამ სჯა იმის შესახებ უნდა იქონიოს, სასარგებლოა, თუ არა ქუჩების მორწყვაო.

*** ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნატორი ბ-ნ ბარანოვისაგან ტფილისის ქალაქის მოურავს მოუვიდა წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ნიჟნი-ნოვგოროდში ხოლერა სრულიად მოისპო, აღარავითარი კარანტინები აღარ არსებობს და ამიტომ ვისაც ამ ქალაქის იარმუკაზედ საქმე რამე აქვს, თავისუფლად და უშიშრად შეუძლიან აქეთ გამომგზავრებაო.

# ფელეტონი

**ეგზემენის წინად*)**

(მოთხრობა გეორგ ბენდლერისა)

კარლი შინ დაბრუნდა და ასე ეგონა, ხელმეორედ დავიბადეო. როცა გერტრუდასთან მიდიოდა, საშინლად დაქანცული იყო მღელვარებისა გამო, დაღალული, იმედ-გადაწყვეტილი, ხოლო მობრუნდა და თავის თავის იმედი ჰქონდა, გულში რაღაც ნეტარებასა ჰგრძნობდა. მაშ ჯერ ცხოვრებას თავისი ღირსება და ფასი არ დაუკარგავს! გერტრუდამ უთხრა შენი დაკარგვა ჩემთვის სამძიმოაო და გერტრუდა ხომ კარლისთვის ყველაფერია. კარლს გულიდამ ჯავრი გადაეყარა, დაავიწყდა გულისა და სულის ქენჯნა, რომელიც რამდენისამე საათის წინად სიცოცხლეს უმწარებდა; გული ისეთის ნეტარება-ბედნიერებით აღევსო, რომელიც კარგა ხანია არ გამოეცადა. მალე მაინც გავიდეს ეს ოხერი დღე! კარლი ნეტარებით მოელოდდა იმ წუთს როდესაც უნდა გერტრუდას წინაშე წამდგარიყო და ეთქვა: აი მე დაგიმტკიცეთ, რომ თქვენ მიერ ჩემზედ მოღებულმა სიკეთემ ტყუილად არ ჩაიარა. ეს ერთი გულის წადილი ხომ შევასრულე, ნება, მომეცით, რომ მეორესაც ჩემის ცდილობით მოვეწიო! კარლმა რომ აღთქმა მისცა გერტრუდას, ასე ეგონა სხვა ნაირად ან-კი როგორ შემეძლო მოვქცეულიყავიო. ისიც-კი ვეღარ შეეგნო კარლსა, წინად სხვაფრივ რად ვუცქეროდი ამ საქმესაო. გერტრუდამ დაიხსნა კარლი მძიმე ცოდვისაგან, კეთილ ანგელოზად მოევლინა და აი ეხლაც იმას იგონებს, რომ მომავალს საქმეშიაც დაეხმაროს და გაამარჯვებინოს!

შრიალმა გამოაღვიძა კარლი ტკბილის ფიქრებისაგან. მიიხედა და ლიზა დაინახა, რომელიც ნახევრად გაღებულს კარებთან იდგა და ყოყმანობდა—შევიდე თუ არაო. ხელში შავი ფრაკი ეჭირა თავის ძმისა გაწმენდილ-გასუფთავებული სადღევანდელოდ. თვალებზედ ქალს ნამტირალეობა ეტყობოდა და პირისახის სიმწითროც დაჰკარგოდა. ალბად ძმისა ეშინოდა და ერიდებოდა, წუხანდელს აქეთ რომ ხმა აღარ გაეცა. ეხლაც მოერიდა კარლი თავის დასა. ხელი ისეთ ნაირად გაუწოდა ლიზას ფრაკის ჩამოსართმევად, რომ აგრძნობინა, წადი, თავიდგან მომშორდი, შენთან აღარაფერი საქმე აღარა მაქვსო.

მაგრამ სწორედ ამ სიმკაცრემ გაამხნევა ლიზა. კარლს რომ დაეძახნა, ეთქვა აქ დარჩიო, ერთი სიტყვა გაეცა, ლიზა შეიძლებოდა მუხლებში ჩავარდნოდა, ეტირნა და პატიება ეთხოვნა. მაგრამ ესე განუკითხავად უარყოფამ წინაალმდეგობა გამოიწვია ლიზას გულში. მართლა ისეთის ბოროტების ჩამდენი ხომ არ არის, რომ ჭირსავით მოერიდნენ! ვიდრე გაჰკიცხავდნენ და განსჯიდნენ, ჯერ უნდა სიტყვა მოუსმინონ, გაიგონ საქმე როგორ იყო და როგორ არის. ლიზამ თავი აიმაღლა და ჰკითხა:

— მერე, ახლა როგორ უნდა იყოს საქმე?

კარლმა განცვიფრებით შეჰხედა. ამ სიტყვას სრულიად არ მოელოდდა, ვერ გაიგო რას ეუბნებოდნენ და ისე გაუგებრად განიმეორა:

— როგორ უნდა იყოს საქმე?

— დიაღ, მიუგო ქალმა: ასე ხომ არ დარჩება საქმე. ამ სახლში ყველამ გაიგო, რაც ამბავი მოხდა; სადაცკი დამინახეს, ყველამ მასხარად ამიგდო. სადილობამდე სულ ვიწექი, რომ არავის დავენახე, მაგრამ როცა იქნება, ხომ უნდა დაბოლოვდეს ეს საქმე. ეზოში რომ გავედი, შემომხედეს და ყველამ ჩურჩული დაიწყო, შემდეგ ხარხარი აუტყდათ. ამას ვერ მოვითმენ! შეჰყვირა ლიზამ და თან ფეხიც დაჰკრა. თუ მე ცუდი ქალი ვარ ვის რა საქმე აქვს!

კარლი, თითქოს ჩაქუჩი დაჰკრეს თავშიო, გამოერკვა ოცნებისაგან და ძველი დარდები კვლავ მოაგონდა და განუცხოველდა. სახე მოეღრუბლა და თავ-აუღებლივ წარმოსთქვა:

— ეგ წინადვე უნდა გეფიქრა.

— მეფიქრა! დაიყვირა ლიზამ და სახე მთლად გაუწითლდა.— შენ იქნება გგონია, რომ ეგ შენი სიტყვა ძლიერ ჭკვიანური რამ არის! ეგარის შენი

*) იხ. „ივერია", № 165.

⁂ მისს უმაღლესობის იმპერატრიცა მარიამის კანცელარიამ მოსწერა ამიერ კავკასიის დედათა ინსტიტუტის მმართველობას, რომ წელს ამ ინსტიტუტში 15 ენკენისთვიდგან დაიწყოს სწავლაო.

⁂ ჩვენ გვატყობინებენ გორის მაზრიდგან, რომ ამ დღეებში სოფ. თამარაშენში 'გარდაიცვალა მეუღლე თ. ვ. გ. მაჩაბელისა, ასული ვეზიროვისა.

⁂ დღეს, 6 აგვისტოს, გაიმართება მეორე უფასო სასადილო ავლაბარში, რომლიდგანაც სადილი სახლებშიაც მიეცემათ უფასოდ.

⁂ ტფილისის ქალაქის მოურავის განკარგულებით დაუშლელი კირი გაიყიდება ტფილისის ათსავე ნაწილების პოლიციებში. გასასყიდ კირის შეძენა დაავალეს ინჟენერ ენფიანჯიანცს.

⁂ ტფილისის ყველა გაზეთში იყო დაბეჭდილი, რომ კაპიტანმა სტრადოვსკიმ მოიგონა ახალი ხოლერის წამალიო (სპირტზედ დაყენებული კოლინჯი). ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა და ბაასი ასტეხა. ერევნის პოლკის კამანდირმა გენერალმაიორმა სტოლიცამ მისწერა ბაქოს ქვეითა ჯარის პოლკოვნიკს ვოზნესენსკის, რომელიც გუმბრში იმყოფება, სტრადოვსკის წამლის შესახებ ცნობანი შემატყობინეო და იმისგან შემდეგი პასუხი მოსვლია: „სტრადოვსკი მაღაზიის ზედამხედველია; იმის წამალს უბრალო ხალხი ხმარობს. ძნელია სთქვას კაცმა, თუ რამდენს ავადმყოფს არჩენს ეს წამალი. წამლის ავ-კარგიანობაზედ სხვადა-სხვა ხმები ისმის. მე ჩემის მხრით ამ წამლის შესახებ ვერას ვიტყვი გარდაწყვეტილს“. პოლკოვნიკი ვოზნესენსკი.

⁂ პეტერბურგის სასულიერო აკადემიის რექტორი აცხადებს, რომ ამ აკადემიაში შესვლის მსურველთა გამოცდა დანიშნულია 1 სექტემბერს.

⁂ სამშაბათს, 4 აგვისტოს, რკინის გზის სადგურ გრაკალის დუქანში ხოლერით გახდა ავად ორი კაცი.

⁂ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსმა ბ-ნმა ფრიდემ დეპეშით მიჰმართა რკინის გზათა დროებით მმართველობის თავმჯდომარეს და სთხოვა, რადგანაც ამიერ კავკასიაში რკინის გზის ლიანდაგზედ ხოლერამ ყველგან იკლო, ამიტომ დროებით სამსახურიდგან განთავისუფლებულ იქმნან ის მოხელენი, რომელნიც ხოლერასთან ბრძოლის დროს მეტად მოიქანცნენ სამსახურითაო.

⁂ ამ უკანასკნელს დღეებში ავჭალის ქუჩაზედ ლიან ავს გადაღმა ძლიერ გახშირდა ქურდობა და სხვა ავაზაკობა. მაგალითად 4 აგვისტოს ამავე ქუჩაზედ ქართველიშვილის სახლებში გასტეხეს სამზარეულო და სხვა-და-სხვა ნივთები გაზიდეს. 4 აგვისტოსვე ღამის 3 საათზედ ვიღაცა მთვრალი კაცები მიდიოდნენ ეტლით. უცებ ეტლი გააჩერებინეს მეეტლეს და უნდა გაეძარცვათ. საბრალო მეეტლემ ბევრი იყვირა და ძლივს ცოცხალმა დააღწია თავი ავაზაკებს. საჭიროა, პოლიციამ ყურადღება მიაქციოს ამ ადგილს, რადგანაც ამ ქუჩაზედ ღამით ხალხი ძლიერ ცოტა დადის და ქურდებიც ამითი სარგებლობენ.

⁂ დედათა უმაღლს სასწავლებლების მოწაფეთათვის შემწეობის აღმოსაჩენი კომიტეტი აცხადებს, ამ წელს მოწაფე ქალთათვის საერთო საცხოვრებელში მხოლოდ 1 სექტემბრიდგან მიიღებენ ქალებს.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს ხმოსანს განზრახვა აქვს მოხსენება წარუდგინოს ტფილისის საბჭოს შესახებ იმისა, რომ ქალაქმა დააჯილდოვოს ტფილისის მიხეილის სამკურნალოს ორდინატორნი იმ მხნეობისათვის, რომელიც გამოიჩინეს მათ ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამითი დიდი სარგებლობა მოუტანეს ტფილისის მცხოვრებთ.

⁂ იმ შემოწირულებიდგან, რომელიც ქალაქის გამგეობაში იყო შეგროვილი, ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ, უკვე დახარჯულ იქმნა 1,417 მ. 14 კ. ამ ფულიდგან 746 მ. 64 კ. ჯამაგირად მიეცა მკურნალებს და მუსულმანთა სამკურნალოს მოხელეთ და დანარჩენი 746 მ. და 64 კაპ. დაიხარჯა ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

⁂ იმის გამო, რომ ავჭალაში ხოლერა გაჩნდა, ქალაქის გამგეობამ გაგზავნა იქ ფერშალი, რომელმაც უნდა ყურადღება მიაქციოს წყლის მილის შენობებზედ მომუშავეთ. ამ მუშებს მიეცემათ მუქთად ჩაი და შაქარი. ყველა ამის ხარჯი ქალაქმა იკისრა. მუშაობას არ შეაჩერებენ იმ დრომდე, ვიდრე ავად გახდება ვინმე ამ მუშათა შორის.

⁂ საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბეში დაბეჭდილია: „თანახმად ტფილისის სასულიერო სემინარიის მმართველობის 23 ივლისის დადგენილებისა, რომელიც დამტკიცებულია მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის პალადის მიერ, ამითი ვაცხადებთ, რომ, რადგან გადამდები სენი ხოლერა მოდებულია ტფილისსა და ამიერ-კავკასიაში, სემინარიისა და საქართველოს ეპარქიის სასულიერო სასწავლებლებში განმეორებითი და შესავსები ეგზამენები დაიწყება 20 სექტემბერს, ხოლო სწავლა-კი— 1 ოქტომბერს ამა 1892 წლისას“.

⁂ გაზეთ „Т. Л.“-ში ვკითხულობთ: ბაქოდგან შემდეგი ამბავი მოგვივიდა: 2 აგვისტოს ბაქოს მკურნალებმა ფოტოგრაფ ჟორჟთან საერთოდ გადაიღეს ფოტოგრაფიის სურათი. შემდეგ ყველა მკურნალი ბაქოს მოურავმა მიიწვია საუზმეზედ, რომელიც ადგილობრივ კლუბის დარბაზში იყო გამართული. საუზმის დროს ბაქოს ქალაქის გამგეობამ ქება-დიდება შეასხა ბაქოს მკურნალთ იმ მხნეობისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლაში. მკურნალთაც თავის მხრივ აქეს და ადიდეს ბაქოს ქალაქის გამგეობა და მოურავი ბ-ნი დესპოტ-ზენოვიჩი“.

⁂ იგივე გაზეთი იუწყება: სამშაბათს, 4 აგვისტოს, თ. ორბელიანის აბანოსთან შემდეგი მკვლელობა მოხდა: თათარმა ყული-სადიხ-ოღლიმ ეჭვიანობის გამო ხანჯლით დასჭრა გულსა და მუცელში თავისი საყვარელი ფეფელა ოჰანეზოვი. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს. დაჭრილი ქალი სამკურნალოს კარებთან გარდაიცვალა. მკვლელი პოლიციამ შეიპყრო.

⁂ გაზეთ „მშაკში“ ვკითხულობთ: „ერთს სომხის ქალს, ვარდუი აკოფიანს, ტრაპეზონის მცხოვრებს, ევროპის ერთს უმაღლესს სასწავლებელში მიუღია დიპლომი ფილოსოფიის საგნისა. ამ ქალს სწავლა დაუმთავრებია ტფილისის ერთ-ერთს სომხის სასწავლებელში. მერე წასულა შვეციას, სადაც დაუსრულებია გიმნაზია და შესულა ციურიხის უნივერსიტეტში.

⁂ ბაქო: 30 ივლისს მიხეილის სამკურნალოში მიიყვანეს პენზის გუბერნიის მცხოვრები ანდრეი ვარლამოვი, რომელიც ავად გამხდარა ციმბირის ჭირით. ვარლამოვი გარდაიცვალა 31 ივლისს („Каспій“).

⁂ გაზ. „Сѣв. Кавк.“-ში ვკითხულობთ: ხოლერის გამო კავკავში ხორბლეულობა ძლიერ გაიაფდა. ფუთი პური ღირს 80 კ., ქერი 42 კაპ., ფეტვი და შვრია ფუთი 65 კ., სიმინდი ფუთი 50—55 კ., ჭვავის ფქვილი 80 კ., ფქვილი 1 მ. 10 კ. ფუთი.

⁂ 3 აგვისტოს ჯარის-კაცად ნამყოფმა კარლოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ავჭალის ქუჩაზედ ჩემს სადგურთან მიგდებული ბავშვი ვიპოვნეო. ბავშვი თითონვე ითხოვა აღსაზრდელად.

## დაბა ტ სოფელი

(მოწერილი ამბავი.)

**ს. ასანური** (სიღნაღის მაზრა). ცხელა... ისეთი უდიერი სიცხეებია, რომ ღმერთმა შეარცხვინოს ტფილისის სიცხეები. აგერ თითქმის თითვე ნახევარზედ მეტია, რაც წვიმა არ გვინახავს. ფეტვები სულ ამოიბუგა და ბალახებად სთიბავენ ზამთრისთვის; ტყეები გაყვითლდა და დაიწვა. ერთის სიტყვით, თითქოს ღმერთს ჩვენზედ ხელი აუღია და დაუვიწყნია ჩვენი თავი. მაგრამ საქმე ის არის, რომ არ-კი დავვიწყებივართ ღმერთს, უფრო ჩვენსკენა ყოფილა კაი თვალით, რადგანაც ამისთანა სიცხეებთან არ გვეწვია დაუპატიჟებელი სტუმარი ხოლერა. დეე ისევ ასეთი სიცხეები იყოს, ხოლერას-კი, როგორც ეხლა, ჩვენთან ხელი არა ჰქონდეს. როგორც სიღნაღს, ისე მთელის მაზრის სოფლებს, ძალიან ბეჯითად სწმენდავენ. სიღნაღში ჩვეულებრივ ვერ შეხვდებით ნესვის, საზამთროს, მსხლის და კიტრის მთაგორაკებს, რომელიც მომეტეულ ნაწილად ულპებოდათ ტ ისე ასაღებდნენ ხოლმე. ახლა-კი სანიტარული კომისიებია, განა ისეა რა!! როგორც სოფლებში წინად იცოდნენ ლეკებმა, ურმებით მოზიდავდნენ მსხალს, ვაშლს, ნესვს და საზამთროს და ჰყიდდნენ ნიორსა, პურსა, ქერზედა და სხ. ეხლა ლეკების ურმებს-კი არა, ახლო-მახლო ბაღებიდგანაც არას უშვებენ.

სისუფთავეს რაც შეეხება, წელანაც მოგახსენეთ, ძალიან სუფთად ინახავენ აქაურობას, მხოლოდ მანდილოსნებმა-კი გაავრცელეს რაღაც ჭორიკანა ხმები. აგერ თეკლე მობრძანდება სიღნაღიდგან, წამოეწია მელანიას და დაუძახა: „ქა, მელავ, მოიცა, ერთად წავიდეთ ლაპარაკით“.

— ჰა მოდი აქ მოგიცდი.

თეკლემ სალამის მიცემის შემდეგ, მაშინვე ის დაიძახა:

— ადამიანო, ვერ გაიგე, სიღნაღში რასა ლაპარაკობდნენ? თურმე ერთი სომეხი მოსულა ქალაქიდგან და მოსულა თუ არა და ზედ მეიდანზედ-კი მამკვდარა.

— უი ქა, რატო მე ვერ გავიგე? რას ამბობ, მიზეზი რა ყოფილა სიკვდილისა, იცი?

— რაო ქა? რა და იმ საცოდავ დღეს გაჩენილისას, ქალაქიდგან რომ მომავლებულა, კიტრები უყიდნია, ემანდ სიღნაღის ყელში რომ მოსულა, წყალი მოსწყურებია, ამდგარა და კიტრი შეუჭამია.

— მერე ქა, რა მოსვლია?!

— რა მოსვლია და სიღნაღში როგორც-კი მოსულა და კიდეც სული გასცვივნია იმ დედა-მკვდარს.

— ნეტა რას უზამდნენ თეკლე მკვდარს?

— უი ქაა, იქ არ ვიყავი, გასჭრეს, გაშინჯეს და ის კიტრი ნახეს, ამოიღეს დოხტურებმა, ახლა ის გასინჯეს და სთქვეს, რომ ეს ბასილას მოუკლავსო. მაშინვე გადააგდეს და ერთი ზღვა მიწა მიაყარეს.

— ვუი იმის დედის ძუძუებს. რას ამობ, თეკლე, ამობენ, ეგ ავადმყოფობა უსუფთაობისაგან არის გაჩენილიო; პრიჭტავმა ხომ გამოგვიცხადა, რომ ეზოები და მიდამო სულ უნდა ჰგავოთო, ემდღეთ გოგო-ბიჭები ცალკე ამოვწყვიტე და მე წელი აღარ შემრჩა ამდენი გვისაგან.

— ი გვით ხომ ყველანი ვგვით, მელავ, მაგრამ ემას ამობენ კიდევ ერთი, ვითომც პრიჭტავმა უნდა ჩამოიაროსო და ვისაც ან ძველი საბანი აქვს, ან ლეიბი, ან რამ ტანსაცმელი, სულ უნდა დაწვას სადმე ხევშიო.

---

სიჰკვიანე? მე წუხელის სულ სხვა აზრები მომივიდა და სწორედ იმის შესახებ უნდა მოგელაპარაკო. გიფიქრია ერთხელაც არის, რომ ახალგაზდა ქალი ვიღუპები აქა? ვიღუპები-მეთქი რომ ვამბობ, სწორედ მართალს ვამბობ. აბა ერთი რა მინახავს აქამდე ჩემს სიცოცხლეში, ვიჯექი სახლში, დილით კარებს გავაღებდი, საღამოზედ კვლავ დავკეტავდი, კიბეებსა ვრეცხავდი... ესე მიდის ჩემი წუთი-სოფელი. გარედ გასვლა და სიამოვნება არა მინახავსრა ჩემს დღეში. როცა დავაპირებდი სადმე წასვლას, ყოველთვის მეუბნებოდნენ. ეგ უზრდელობა იქნება, იქ რა გინდაო. აბა მითხარ, გიფიქრია შენ ამაზედ როდისმე? ახლა რა გგონია, შეიძლებოდა თუ არა, რომ ასეთს ყოფაში ჩავარდნილს სისულელე რამე ჩამედინა? როცა რისამე აღკრძალვა იყო საჭირო, მხოლოდ მაშინ მიგონებდი, სხვა დროს მე სულ ღვთის ანაბარას ვიყავ დატოვებული. სხვა ძმებს თავიანთი დები აქა-იქ დაჰყავთ, სხვა-და-სხვა სიამოვნებას აჩვენებენ და შენ-კი, ნასწავლი რომ ბრძანდები, დიდად მიგაჩნია შენი თავი და მე არა მკადრულობდი. შენ რომ ჩემთვის ყური გეგდო, იქნება გზა არ შემშლოდა. სხვებსავით რომ მთელი დღე ვიტანჯები, იმათსავით მეც მინდა ხანდახან სიამოვნება. მარტო აღკრძალვით აქ საქმე არ გაკეთდება. მე ეხლა პირდაპირ გეუბნები. თუ გინდა, რომ მე განათლებულ ხალხსავით ვიცხოვრო, მაშ აბა ეხლა შენც ისე მოიქეცი, როგორც განათლებულები მოიქცეოდნენ ამ შემთხვევაში.

— ეს შენი სიტყვები რას ნიშნავს?—ჰკითხა კარლმა და თანაც თითქო გულმა წინადვე უგრძნო მოსალოდნელი პასუხი.

— შენ იქნება გეგონოს, რომ მე არ ვიცოდე? მე საკმაოდ ბევრი წიგნი წამიკითხავს, შუაღამემდე რომ ზეზე ვიყავ ხოლმე და ჩემს ბატონებს ველოდდი. იქნება გეგონოს, რომ სულ ცუდად მიტარებია ის დრო, როცა ისინი ან თეატრში და ან სტუმრად წასულები იყვნენ? მე კარგად ვიცი, როგორც უნდა მოქცევა ამ საქმეში. განათლებულს ხალხში ესეთი რამ რომ მოხდება ხოლმე,— განა როგორ იქცევა ძმა? ან უნდა ეცადოს, რომ ჯვარი დაავწერინოს— მაგრამ ეს რომ ამ შემთხვევაში შეუძლებელია, ეს მეც თითონ კარგად ვიცი—და ან კიდევ...

ლიზამ შეატყო, რომ კარლი არაფერს პასუხს არ იძლეოდა და კვლავ განაგრძო:

— მაშ მე გეტყვი, თუ შენ ვერ მიხვედრილხარ. უნდა მოჰკლას შემაცდენელი. მზადა ხარ, რომ სწორედ ასე მოიქცე? აი ეს მინდოდა მეთქვა შენთვის და ეს მინდოდა გამეგო.

ამ სიტყვებმა ცივ წყალსავით ერთბაშად გამოაღვიძეს კარლი სანეტარო ძილისაგან. აღარ იცოდა, რა პასუხი გაეცა, საფეთქლებზედ იტაცა ხელი და მხოლოდ ეს-ღა სთქვა: „საძაგელო!“ მაგრამ ქალი არ შეკრთა. მიუახლოვდა, დაცინვით შეჰხედა და მაღლა დაუყვირა:

— ეჰე, ეგ ღმერთმა უწყის მე უფრო საძაგელი ვარ თუ შენა; ახალ-გაზდა, გამოუცდელი ვარ, ათასი რამ ჩამაგონა და მომატყუა. მრავალს ახალ-გაზდა ქალს ემართება ესეთი ამბავი, მაგრამ მე ამით თავს როდი ვიმართლებ. შენ უფრო ჩემზედ საძაგელი ხარ, რომ გეშინიან და ვერ გაგიბედნია იმისი დასჯა. დიაღ, დიაღ, შეიჭმუხნე შუბლი, თვალები აბრიალე, მაგრამ მართალს-კი გეუბნები. რაც უფრო ყველაზედ საძრახისია ამ საქმეში, მე ეხლავე მოგახსენებ. მე, სულ ერთია, ხომ ცუდი ქალი ვარ, მაგრამ სულელი-კი ნუ გეგონები. კარგად ვიცი, იმიტომ ვერა ჰბედავ არტურის დასჯას, რომ არ გინდა აწყენინო იმისს დას, შენს სატრფოს. ბოლოს ორნივე მასხარად აგიგდებენ. მაშინ მხდალიც იქნები და სულელიც. ეხლა ხომ შეიტყე ჩემი აზრი. წაიღე შენი ტანისამოსი; იქნება ეს რომ ჩაიცვა, ცოტა ჭკუა მოგეცეს.

ლიზამ ფრაკი სკამზედ დასდო და, ვიდრე კარლი გონებას მოიკრებდა, უეცრად გავიდა ოთახიდგან.

კარლი ერთს ალაგს გაშეშდა. საფეთქლები საშინლად უცემდა; შუბლი ფანჯარას დააყრდნო, ეგები გავგრილდეო, მაგრამ ვერა უშველარა თავსა. აზრი ველა-რა გამოირკვიარა. ყურები უწიოდა: მხდალო, სუ-

— იი, რას ამობ ქა, ძველები მაქვს, მარა რო დავრეცხო და გავასუფთავო, გადავაკრა, ისევ ახლები არ მექნება?!

— მარა იქნება ქა, აგე მაგიტო აიქ ერთი საბანი მაქვს გადაუკრავი, ლეიბი და ერთი ბალიში, ჩავაწყე ჩემ მულისეულ მაფრაშაში და ჩავიტანე გადაღმა ვენახში. დღისით პატარა ბიჭი მიყენია ყარაულად და ღამით მეც იქ მივდივარ და ჩემი დიდი ბიჭიც. ი დამიფარე, ღმერთო, ნაცილისაგან, ეგ რა-ღა გავიგონე გეთაყვანე. ახლა კიდევ ჩვენც არ დაგვწვან, ბებრები ხართო, და?! უი ეხლა მამაგონდა ემაგ დაწვაზედ, რა გავიგონე კიდევ, მელავ. უნდა ერთხელ ღამე ჩუმათ ჩამოიაროს პრიჭტავმა, და სადაც არ ეგულება ან მოხუცი ბრუციანი, ან მთხოვარა, სულ უნდა დასწვასო.

საქმე ის არის, მკითხველო, რომ ამ ხმამ მიაღწია ზოგიერთ მოხუცის ყურამდის, რომელიც ორივ თვალით უსინათლოა, და როგორც ბავშვი, ისე ტირის, რომ დამმალეთ სადმე, არ გებრალებითო. დარდისაგან აღარას სჭამენ, რაც უნდა არწმუნოთ, ტყუილიაო, არ დაიჯერებენ.

— იიმე, ეხლა რას ამობ, თეკლე, ეგ მართალია?

— უი ქა, მართალია ჩემის სანდროს გაჰდამ, ტარტარებს ისევ გაიანე. აი ქა კიდევ რას ამბობენ: ვითომც სამი კაცი მომკვდარა ვაქირშიო (სოფელია) და სამივე გადაუყრიათო; ერთი მაშნარელი კაცი ასულა სიღნაღში თავშეკრული, უკითხნიათ, თავი რათა გაქვს შეხვეულიო, იმას უთქვამს, მტკივა და იმიტომაო, წამოსულან და აფთიაქიდამ აგეთი წამალი მიუციათ, რომ მაშინვე მომკვდარა და დაუმარხიათ. დედაკაცი კიდევ თუ ვინმე, რა ვიცით, ლოგინზედ დაწვაო და მეორე დღესვე არ ადგა, იმასაც სწვამენო.

— ვუი ჩემ თვალებს, შვილო, ქა რაღა მეშველება, თეკლე, ჩემი გოგო დასაწოლია ამ დღეებში.

— ი რა გვეშველება, შე დალონებულო, უნდა მაამფარო სადმე.

თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ტარტაროზმა თეკლემ თუ ერთი თავისთანა სხვაც იშოვა, ვინ იცის, რა დაფდაფს დაუკრავენ და მუსიკით რა თავ-ზარს დასცემენ საწყალ ბრუტიან მოხუცებსა და ფეხ-მძიმე დედაკაცებს.

მ. ილიაძე

---

**არანისი** (დუშეთის მაზრა), 31 ივლისი: ჩვენშიაც იჩინა ხოლერამ თავი. ჯერ ამ თთვის ნახევარში გახდნენ ავად საეჭვო ავადმყოფობით ორნი ძმანი. ერთის კვირის შემდეგ 23-ს გახდა ავად ერთი დედაკაცი და 25-ს მიიცვალა. 24-ს გახდნენ კიდევ ავად ორნი და ორივენი 25-ს გარდაიცვალნენ.

27-ს ჟინკალში გახდა ერთი ავად და უკვე გარდაიცვალა. ჟინკალში სხვა არავინ გამხდარა ავად, რადგანაც დეზინფექცია დროზედ მოახდინეს.

ჩვენი პატივცემული სანიტარი ზანდუკელი დიდს მხნეობას ეწევა, სცდილობს, როგორმე შეაჩეროს ეს საშინელი სენი. საჩქაროდ შეაგროვა რამდენიმე თუმანი ფული და წარუდგინა დუშეთის მაზრის უფროსს ტფილისიდგან წამლების გამოსაწერად. ამას მხარში უდგას ახალგაზდა მხნე ფერშალი, თავად-აზნაურობის ბანკის ხარჯით გამოგზავნილი ჩვენს მაზრაში, ნიკოლოოზ ოზიაშვილი. ორნივენი არასა ჰზოგავენ, რომ როგორმე შველა აღმოუჩინონ ავადმყოფებს. ჯერ-ჯერობით რაც წამალი ჰქონდათ, იმითი მოახდინეს დეზინფექცია. საცა ხოლერიანი ავადმყოფები იყვნენ, ფერშალმა ავადმყოფების ტანისამოსი თუ ლოგინი და სხვა ავეჯი, რაც დასაწველი იყო, სულ დასწვა. ეხლა ველით წამლებს და ჯერ კიდევ არსადა სჩანს. ფერშლისა და სანიტარის ამაგმა, როგორც ეტყობა, ტყუილად არ ჩაიარა. 26-ს აქეთ არავინ არ გამხდარა ავად. ეს ორი კაცი თავიანთის მხნეობისათვის დიდის მადლობის ღირსნი არიან და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი საზოგადოება ჩქარა განთავისუფლდება ამ სენისაგან.

არ. მღ. ი. ი.—ს

## ქართულ აპოკრიფების შესახებ.

რადგანაც ბ-ნი ა. ს. ხახანაშვილი შესდგომია ქართულს ენაზედ შენახულ აპოკრითულ ნაწერების გამოკვლევას, ამიტომ საჭიროდ ვრაცხ დავბეჭდო მისდა საყურადღებოდ ცნობები ერთ აპოკრითულ წიგნის შესახებ, რომელიც არის დაცული გორის თავად-აზნაურთა წინამძღოლის, ივანე დავითის ძის სულხანიშვილის ოჯახში. როგორც ძველად შემძლე ოჯახი, უწინ ბევრი ხელ-ნაწერი წიგნი მოიპოვებოდა თურმე ბ-ნ სულხანიშვილის სახლში, ახლა-კი მხოლოდ ერთი პატარა აპოკრითული წიგნი დარჩენილა. ეს წიგნი მე გადავათვალიერე წარსულს აპრილში და ამოვსწერე სათაურები. წიგნში არის მოქცეული ექვსი აპოკრითული წერილი. ხუთი მათგანი შეეხება ახალ აღთქმის მოთხრობებს და ერთი შეიცავს ყრმათა მიმართ საჭირო სწავლას. აი თვით წიგნში მოქცეული ნაწერების სათაურები: 1) წმიდისა ღვთისმშობელისაგან კაცთა ცოდვილისა სატანჯველთა ხილვა (26 ფურცელი).

2) მცნება და ბრძანება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელი მიეცა საკვირველებით წმიდასა სილიბისტროს რომთა პაპისა (9 ფურცელი).

3) სწავლანი მცირენი ყრმათა მიმართ საჭირო (7 ფურცელი).

4) გამოცხადება წმიდათა (?) ელისაბედისა: სატანჯველისა მიმართ ქრისტესი (5 ფურცელი).

5) ლოცვა ყოვლად წმიდისა მარიამისა მიმართ წმიდათა, რომელთა ჰპოვეს საფლავი ქრისტესი, ჟამსა მას მორწმუნესა (?) (5 ფურცელი).

6) დიდსა ხუთშაბათსა გოდება წმიდისა ღვთისმშობლისა მარიამისა, ოდეს დამჴვალულ (?) ძე თვისი იესო (6 ფურცელი).

წიგნი არის დაწერილი მშვენიერის მხედრულის ხელით მომსხო ქაღალდზედ და ტყავის კაზმა აქვს.

გ. საძაგელოვი-ივერიელი

## ხოლერის აცრა

დასავლეთ ევროპის მეცნიერნი ბევრსა სცდილობენ, როგორმე ბოლო მოუღონ საშინელს სენს—ხოლერას. მას შემდეგ, რაც კოხმა ხოლერის ბაქტერიები აღმოაჩინა, მეცნიერთ იმედი მიეცათ, რომ ადრე თუ გვიან ხოლერის წინაალმდეგ ნამდვილსა და უებარს წამალს აღმოაჩენენ. ასეთ წამლად მეცნიერთ ხოლერის აცრა მიაჩნიათ.

ამ საქმის შესახებ „Deutsch Med. Wochenschrift“-ის უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო მოხსენება პროფესორ ბრიგერისა (პროფესორი ბრიგერი გამგე ავადმყოფთათვის კოხის მიერ დაარსებულ სამკურნალოს მმართველია). კარგა ხანია, რაც პროფესორმა ბრიგერმა, მისმა თანაშემწემ მკურნალმა ვასერმანმა და პროფესორმა კიტაზაგომ ხოლერის აცრა სცადეს ზღვის გოჭებზედ. აღმოჩნდა, რომ ის გოჭები, რომელნიც ხოლერით არიან აცრილნი, ავად აღარა ხდებიან, როცა ხოლერის ბაქტერიებიან წყალს შეუშხაპუნებენ ტანში; ის გოჭები-კი, რომელნიც აცრილნი არ არიან, ბაქტერიებიან წყალის შეშხაპუნების უმალვე ხოლერითა ხდებიან ავად და იხოცებიან.

ამას წინად ჩვენს გაზეთში გვქონდა გაზეთ „Новости“-დგან გადმობეჭდილი ამბავი, რომ პროფესორ პასტერის პარიჟის ინსტიტუტის ერთმა მკურნალმა ხოლერის აცრა მოიგონაო. იმავე გაზეთის 206 №-ში დაბეჭდილია დაწვრილებითი ცნობანი ამ საქმის შესახებ:

„56 ივნისს ბ-ნმა ხავკინმა ხოლერის წინაალმდეგი ვაკცინა (წამალი, რომელშიაც ხოლერის ბაქტერიებია) შეიშხაპუნა მარცხენა გვერდში. ხავკინი ამას შემდეგ ერთი დღე და ღამე ავად იყო. სიცხემ უმატა, თავი სტკიოდა და პირი უშრებოდა. კუჭ-ნაწლავებს-კი არაფერი დაუშავდა. აცრილს ალაგას, მარცხენა გვერდში, კანი დაუსივდა და გვერდიც ასტკივდა. მეხუთე დღეს ხავკინი სრულიად მორჩა. მეექვსე დღეს ხავკინმა მეორედ შეიშხაპუნა ხოლერის შხამი მარჯვენა გვერდში და სრულიად ავად არ გახდა, არც გვერდი ასტკივდა, არც კანი დაუსივდა და არც სტომაქი მოჰშლია. შემდეგ ხავკინმა სხვებზედაც, სცადა თურმე ხოლერის აცრა და ეხლა ამტკიცებს, რომ ხოლერის აცრა ძლიერ ადვილია და აცრის შემდეგ ადამიანი ხოლერით აღარ გახდება ავადაო“.

ჩვენ არ შეგვიძლიან ჯერ-ჯერობით დაბეჯითებითა ვსთქვათ, მართალია ეს ამბავი, თუ არა, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მაინც საყურადღებოდ მიგვაჩნიან რადგანაც ნათქვამია: „ცდა ბედის მონახევრეაო“.

# რუსეთი

26 ივლისს ქ. ასტრახანში ავად გახდა 15, გარდაიცვალა 8, მორჩა 20; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 275, გარდაიცვალა 205, მორჩა 160.

ქ. ვორონეჟში 26 ივლისს ავად გახდა 70, გარდაიცვალა 16, მორჩა 8; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 14, გარდაიცვალა 17.

ქ. ვიატკაში 26 ივლისს ავად გახდა 14, გარდაიცვალა 4, მორჩა 5; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 58, გარდაიცვალა 33.

ეკატერინოსლავსკის გუბერნიაში 27 ივლისს ავად გახდა 55, გარდაიცვალა 16, მორჩა 15.

ქ. ყაზანში 26 ივლისს ავად გახდა 18, გარდაიცვალა 7, მორჩა 5; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 103, გარდაიცვალა 53.

კოსტრომის გუბერნიაში 25 ივლისს ავად გახდა 5, გარდაიცვალა 5.

ქ. კურსკში 25—27 ივლისს ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1; მთელს გუბერნიაში 26 ივლისს ავად გახდა 26, გარდაიცვალა 10.

ქ. მოსკოვში 26 ივლისს ავად გახდა 16, გარდაიცვალა 10.

ქ. ნიჟნი - ნოვგოროდში 27 ივლისს ავად გახდა 60, გარდაიცვალა 27, მორჩა 25; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 71, გარდაიცვალა 26, მორჩა 13.

ორენბურგში 26 ივლისს ავად გახდა 180, გარდაიცვალა 63; მთელს გუბერნიაში 24 და 25 ივლისს ავად გახდა 24, გარდაიცვალა 11.

ქ. ელცში (ორლოვის გუბერ.) 25—26 ივლისს ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3.

ქ. პენზაში 26 ივლისს ავად გახდა 9, გარდაიცვალა 2.

ქ. პერმში 26 ივლისს ავად გახდა 12, გარდაიცვალა 6; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 25, გარდაიცვალა 19.

პოლტავას გუბერნიაში 25 ივლისს ავად გახდა 13, გარდაიცვალა 6.

ქ. რიაზანში 26 ივლისს ავად გახდა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 34, გარდაიცვალა 13.

ქ. სამარაში 26 ივლისს ავად გახდა 86, გარდაიცვალა 28, მორჩა 43; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 91, გარდაიცვალა 59, მორჩა 17.

ქ. სარატოვში 26 ივლისს ავად გახდა 87, გარდაიცვალა 39, მორჩა 17; ქ. ცარიცინში 25 ივლისს ავად გახდა 16, გარდაიცვალა 9.

სიმბირსკში 26 ივლისს ავად გახდა 20, გარდაიცვალა 12; გუბერნიაში ავად გახდა 259, გარდაიცვალა 92.

ტამბოვის გუბერნიაში 27 ივლისს ავად გახდა 33, გარდაიცვალა 30.

ქ. უფაში 23—25 ივლისს ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2; მთელს გუბერნიაში 24—25 ივლისს ავად გახდა 5.

---

ლელო! სულელო, მხდალო! ეს სიტყვები ეკალისავითა სჩხვლეტდა გულში და თან რწმუნდებოდა კიდეც ეს სიტყვები მართალი და ახია ჩემზედაო. კარლს სულელად ყოფნა უფრო უკლავდა გულსა, ვიდრე მხდალობა.

—

ნასადილევს, ესე საათის ხუთზედ კარლი გავიდა სახლიდგან და უნივერსიტეტისკენ გაემართა. შინიდგან ისე ჩუმად გამოიპარა, თითქო ქურდი ყოფილიყოს. არავისი შეხვედრა და ნახვა არ უნდოდა, და სწორედ ამიტომ წავიდა ისე ადრე, თორემ ეგზამენი 6 საათზედ იყო დანიშნული და გზა უნივერსიტეტამდე ნახევარ საათისაც არ იყო.

უკანასკნელს დღეებში საშინლად დაცხა; კაცს ეგონებოდა, აქ ახლო სადმე ცეცხლი რასმე უკიდია და იმისგან ხურდება ჰაერიო. ჰაერი და ხის ფოთოლი სრულიად არ inძრეოდა. ყოველ-დღე ელოდნენ აი წვიმა მოვა გვეშველებაო, მაგრამ აიშლებოდა ღრუბლები და ისევ გამოიდარებდა. დღეს კიდევ შორიდგან აიშალა ღრუბლები, მაგრამ ხალხი-კი იმედ-გადაწყვეტილი, ისევ ოფლში იწურებოდა სიარულის დროს.

მხოლოდ კარლი ვერ ამჩნევდა მზის სხივებს, რომელიც უწყალოდ იკბინებოდა. ისიც-კი არ უფიქრია, ჩრდილში გადავიდე და ისე ვიაროვო. მიდიოდა კარლი თავ-ჩაღუნული. ფრაკის კალთები უკან ეხსნებოდა, რადგან დიდის ხნის ნაყიდი იყო და ეხლა ველარ ადგებოდა ტანზედ. არც სხვა რამ ეცვა კარლს ახალი და კარგი. ყველაფერი მაშინდელი ნაყიდი ჰქონდა, გიმნაზია რომ გაათავა. თავზედაც ისეთი გახუნებული ცილინდრი ეხურა, თითქო ძველი საფლავის მატურიაო.

კარლი ვერ ამჩნევდა, რომ გამვლელ-გამოვლელებს ეღიმებოდათ, როცა იმას ტანთ-საცმელს შეჰხედავდნენ ხოლმე. ისიც ძლივს ახსოვდა, სად უნდა მივიდეო, მეხსიერებიდგან მხოლოდ ის არა ჰშორდებოდა, რომ მხდალი იყო და საქმეს ველარას უშველიდა, თითონვე აღთქმა დასდო მხდალად მოქცევისა. კარლს ეგონა, ყველამ იცის რასაცა ვფიქრობო. ამიტომ თავი მაღლა არ აუღია, ისე მიდიოდა და კინაღამ უბედურებაც-კი არ შეემთხვა. ერთმა ეტლმა ცოტას გასწყდა არ გაიტანა, რომ მეეტლეს დროზედ არ დაეჭყივლა და არ გამოეფხიზლებინა კარლი. კვლავ განაგრძო გზა უნივერსიტეტისაკენ. თავზედ ცილინდრის პირებთან ხუჭუჭი თმა უჩანდა. ფრაკიც ისე ადგა წელზედ, თითქო ზედ ჩამოსხმული არისო; ხელ-თათმანები თეთრის მაგიერ ყომრალები ეცვა. ამ დროს არტურმაც გამოიარა ეტლით, მაგრამ ერმანეთი ვერ დაინახეს იმანა და კარლმა.

როდესაც საეგზამენო დარბაზში შევიდნენ, სადაც ზედამხედველები რიგ-რიგად მიიწვევდნენ ხოლმე სტუდენტებს პროფესორებთან, მაშინ-კი თვალი მოჰკრეს ერთმანეთსა, მაგრამ სივიწროისა გამო, რადგან ბევრს სტუდენტს მოეყარა თავი, პირის-პირ შეხვედრა კარლისა და არტურისა შეუძლებელი იყო. მოლოდინისა გამო ამ ხალხით გატენილს დარბაზში ყველას გული საშინლად უცემდა, სახე უწითლდებოდათ და ტუჩები უშრებოდათ. სწორედ ომის დასაწყისი ჟამი იყო სტუდენტებისათვის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ თითოეულს მათგანს მარტო თავისი თავი-ღა ახსოვდა.

დერეფნებში წინ და უკ'ნ დაიარებოდნენ ზედამხედველები. იმათ ბევრი ამისთანა ეგზამენი ენახათ და ეხლა დიდის ხალისით მოუთხრობდნენ თავიანთს ნანახს, თუნდა სტუდენტებსაც არ ეთხოვათ. ზოგს არიგებდნენ, ზოგს რას ურჩევდნენ და ზოგს რასა

— აი, ეგზამენს რომ გაათავებთ და აქ დაიცდით, თუ მე მოვედი და სახელი დაგიძახეთ, იცოდეთ განსაცდელს გადარჩენილხართ. მაშინ მხოლოდ დარბაზში უნდა შეხვიდეთ და შეიტყოთ რა ნიშანი მიგიღიათ. ის ხომ სულ ერთია „Cum laude“-ს მიიღებთ, თუ „sum summa laude“-ს მაგრამ თუ მოვედი და გითხარით: ბ-ნმა დეკანმა გთხოვათ, რომ ხვალ მობრძანდეთ!“ მაშინ იცოდეთ ჩაჭრილი იქნებით. ჯერ-კი რა საჭიროა იმედის გადაწყვეტა.

ს. გძელიშვილი

(შემდეგი იქნება)

ქ. ხარკოვში 26 ივლისს ავად გახდა 2, გარდაიცვალა 4; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 156, გარდაიცვალა 68.

იაროსლავში 26 ივლისს ავად გახდა 13, გარდაიცვალა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 3.

ნოვოჩერკასკში 26 ივლისს ავად გახდა 16, გარდაიცვალა 7; როსტოვში და ნახიჩევანში (დონისა) ავად გახდა 138, გარდაიცვალა 58, მორჩა 68; თეირანში ავად გახდა 34, გარდაიცვალა 13; მთელს ოლქში ავად გახდა 861, გარდაიცვალა 458, მორჩა 311.

ტობოლსკში 26 ივლისს ავად გახდა 16, გარდაიცვალა 18, მორჩა 14.

ტომსკში 26 ივლისს გარდაიცვალა 21. მთელს ოლქში ავად გახდა 8.

ურალსკში 26 ივლისს ავად გახდა 14, გარდაიცვალა 1; გურიევში და მიდამოებში 25 ივლისს ავად გახდა 4, გარდაიცვალა 14, მორჩა 8; მთელს ოლქში ავად გახდა 13, გარდაიცვალა 11.

## დეპეშა

4 აგვისტო

**პეტერბურგი.** მოვაზირე-მოთათბირე საელჩოსი ვენაში თავადი კანტაკუზენი დაინიშნა ელჩად ვაშინგტონში სტრუვეს ალაგას, რომელიც გადაყვანილ იქმნა გაგაში. ლისაბონის ელჩი ხიტროვო გადაყვანილ იქმნა იედოში შევიჩის ალაგას, რომელიც დაინიშნა ელჩად ლისაბონში. პეტერბურგის ვიცე-გუბერნატორი დემიდოვი დაინიშნა ოლონეცის გუბერნატორად ვესელკინის მაგიერ, რომელიც გადაყვანილ იქმნა ჩერნიგოვში.

უმაღლესად ნაბძანებია, რომ იმ გლეხთ, რომელნიც წელსაც დაზარალდნენ მოუსავლობით, უფასოდ დაეთმოთ შეშა და ფიჩხი სახელმწიფო ტყეებიდგან.

პეტერბურგში დაბრუნდა ზღვათა სამინისტროს გამგებელი.

პეტერბურგში 2 და 3 აგვისტოს ხოლერით ავად გახდა 44, მორჩა 5, გარდაიცვალა 9.

**ბაქო.** ხოლერა თითქმის განელდა. იმდენი ხალხი ბრუნდება ბაქოში, რომ ზომებს იღებენ, ხელმეორედ არ გაჩნდეს ხოლერა.

5 აგვისტო

**პარიჟი.** ხელის მოწერა, რომელიც გამართა გაზეთმა „La libre parole“ რუსეთში მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოდ, გათავდა; სულ შეგროვდა 22,022 ფრანკი.

**ლონდონი.** ინდიის მთავრობამ შეუთვალა ავღანიის ემირს, რომ თუ ბრიტანიის მისსია არ იქმნება მიღებული ოქტომბერში, სრულიადაც აღარ გაგზავნის შემდეგში.

ოთხი ათასი უზბეკი, რომელნიც თავს დაესხნენ ავღანის ჯარებს მაიმენის ოლქში, დაიმალნენ რუსეთის სამზღვრებში.

ამბობენ, რომ სამხრეთის ნაწილი პამირის ოლქისა ჰინდუკუშამდინ, ჩინელებმა დაუთმეს რუსეთს.

პეტერბურგის ბირჟა, 4 აგვისტო.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 9³/₄ | 7,₇₈ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 155 | 155³/₄ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1,₀₈ | 1,₁₀ | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | 235¹/₂ |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 223 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 193 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀ . . . . . . . | — ,, | — ,, | 102³/₄ |
| 5°/₀ . . . . . . . | — ,, | — ,, | 100 |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | 102¹/₄ | — ,, | — ,, |
| 5°/₀ . . . . . . | 99³/₄ | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

**ბათუმში მოდის:**

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაითს.

**ფოთიდგ გადის:**

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითი-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

## განცხადებანი


**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (150—86)

**„სიჭაბუკის ცოდვა“**

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto sperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან. (36—16)

**ქ. ოზურგეთში**

გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები: მ. კ.

1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . . „ 5
2) „ჩხუბი ერთი კევრცხისათვის“ ტოლსტოისა . „ 5
3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანელისა . „ 5
4) „ქართულ ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა. „ 80
5) „რავდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . . „ 50
6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე . „ 30
7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . . „ 40

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ბ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და აგრეთვე გურიის ყველა მასწავლებლებთან.

**საკომერციო კურსები**

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1892—93 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი ორ-კაცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—80—2)

უწმიდესის უმართებულესის სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის სადგომში ამა 1892 წლის 11 სექტემბერს **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა** (თუ არ შესდგა, განმეორებული ვაჭრობა მოხდება 16 სექტემბერს) **იოანნე ნათლის-მცემლის უდაბნოს ორის ნაწილის საძოვარ მიწის იჯარით გასაცემად.** პირველის ნაწილის საზღვრებია: აღმოსავლეთით—არხი, გუთან-გავლებული, დასავლეთით და სამხრეთით—კვალია გავლებული და ჩრდილოეთით—მთა ალაგი, „ტფილისის ხევად“ წოდებული; მეორე ნაწილისა: აღმოსავლეთით—ფშატიანთ-ხევი და ბილიკი, რომელიც სოფ. საგარეჯოსკენ მიდის, სამხრეთით—გზა, რომელიც იოანნე ნათლის-მცემლის უდაბნოდგან სოფ. ხაშმისაკენ მიდის, დასავლეთით—კვალია გავლებული, რომელიც საზღვარის ნიშანიც არის, და ჩრდილოეთით—ქედი, „თეთრ უდაბნოს სერად“ წოდებული. ეს მიწები იჯარით გაიცემა ერთადაც და ცალკ-ცალკეც, როგორც იჯარით აღების მსურველნი მოისურვებენ. მსურველთ შეუძლიანთ გამოცხადდნენ სინოდის კანტორაში, ანუ დაბეჭდილი წერილი გამოჰგზავნონ დანიშნულ დროსთვის, დილის ათ საათზედ, შესაფერის წინდითურთ. წინდი უნდა იყოს ფულად და ან საკრედიტო დაწესებულებათა ბილეთებად. ამასთანავე უნდა წარმოუგზავნონ თავისის წოდების ქაღალდიც. საძოვარ ადგილების იჯარით გაცემის პირობათა შეტყობა მსურველთ შეუძლიანთ სინოდის კანტორის კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმე დღეებს გარდა. (3—1)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველდღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. | 10 მ.—კ. | 6 | თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50,, | 5 | ,, | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75,, | 4 | ,, | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, | 8 ,, —,, | 3 | ,, | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25,, | 2 | ,, | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50,, | 1 | ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე-და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში №.


Дозв. ценз. Тифлисъ, 5-го Августа 1892 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.